მერმა დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა დაათვალიერა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ, მერის მოადგილემ, ოსიკო თოთიბაძემ, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ლელა იმედაშვილმა და დაბა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბესო ქათამაძემ დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა დაათვალიერეს. სკოლაში, რომელშიც 400-მდე მოსწავლე სწავლობს, ძირითადი ინფრასტრუქტურა დაზიანებულია. ამორტიზებულია კედლები, ჭერი, მოსაწესრიგებელია საკლასო ოთახები და საპირფარეშო. კონსტანტინე შარაშენიძის განმარტებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან კოორდინაციით, დაიწყება მუშაობა საჯარო სკოლის ეტაპობრივ რეაბილიტაციაზე, ახალი საპირფარეშოს მშენებლობასა და სკოლაში ელეტროგაყვანილობის მოწესრიგებაზე.

„ჩუმად! ვილაც მღერის მთაზე“

სოფელი ზოტი და მისი „ულეველა“

გურიაში გუბაზეულის ხეობა ერთ-ერთი თვალწარმტაცი და ლამაზია. ეს ხეობა ამაყობს ნაბეღლავით, ბახმაროთი, გურიის მთებით, რომელსაც მე-20 საუკუნის უდიდესმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ მიუძღვნა ლექსი „გურიის მთები” და, რასაკვირველია, აქ მცხოვრები ადამიანებით.

სწორედ გუბაზეულის ხეობის ბოლო სოფელია ზოტი. სოფლის შესასვლელიდან როდესაც გაიხედავ, თვალწინ გადაიშლება ქალაქის ტიპის, ოთხივე მხრივ მთებით შემორტყმული სოფელი თავისი საყანეებით, სათიბებით, ბოსტნით და ბახჩით. სოფელი 140 წლის წინ ნასოფლარი იყო. დღეს აქ 200 კომლია 1200, უაღრესად მშრომელი მცხოვრებით , რომლებიც წელიწადის ოთხივე დროს დასაქმებული არიან. სოფელში უსაქმურს ვერ ნახავ. ამიტომაა, რომ ზოტში არანაირი დანაშაული არ ხდება. იგი ნაკლებ ემიგრაციულია. შემოსავლის ძირითადი წყარო მესაქონლეობაა, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მაღალმთიანია, ზღვის დონიდან 950 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და ექვსი თვე ზამთარია. ზღვის დონიდან 2200-2400 მეტრ სიმაღლეზეა საზაფხულო იალაღი „კიდობანას მთა“, სადაც 3 თვე იმყოფება ზოტის ყველა კომლი, უვლიან პირუტყვს. შეძლებისდაგვარად დასაქმებული არიან ბავშვებიც, ამზადებენ ყველს, კარაქს. ნაწილს ინახავენ, ნაწილი კი ბაზარზე გააქვთ გასაყიდად. აქვთ ბოსტნებიც. სწორედ ასეთმა ბუნებრივმა ყოფიერმა გარემომ შექმნა მოტივაცია ჩვენ შემეცნებაში აქცენტი გადაგვეტანა მიწის, პირუტყვის, სათიბის მოვლასა და წარმატების მომტან უპირველეს საპოვარზე.

ახლა, როცა არაერთი სამთავრობო წინადადება და იდეა წინა პლანზე წამოიწია, ერთ წამს არ ვკარგავთ, რათა ჩვერთოთ თანამედროვე ინოვაციებში, საკუთარი საქმიანობა სტიქიური დაუგეგმავი შრომიდან, მოგების მომტან საფეხურზე ავიყვანოთ. ამ მიზნით, 2014 წელს ჩამოვაყალიბეთ, 5 მეპაიესგან შემდგარი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ულეველა“, რაც იმდროისთვის დიდი მიღწევა იყო.

2015 წელს კოოპერატივების სააგენტოსაგან მივიღეთ იტალიური წარმოების 5 მოტობლოკი, რამაც სოფელში აამაღლა ჩვენი ავტორიტეტი, მეპაიეთა რაოდენობა გაიზარდა 20- მდე.

2017 წელს ჩავერთეთ მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში (240 000 ლარის ოდენობით), მეპაიეთა რაოდენობა გაიზარდა 40-მდე, გაერთიანეს 201 ფური (დეკეულების ჩათვლით). ამ პროგრამის პირველ საფეხურზე მივიღეთ უმაღლესი ხარისხის ტექნიკა:

გვ-4

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 13 (10258) 2 აპრილი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ცნობილია რის გამო დააკავეს ოზურგეთის გარემოს დაცვის ინსპექციის 5 თანამშრომელი

ოზურგეთში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ, გარემოს დაცვის ინსპექციის 5 თანამშრომელი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად დაკავებაზე გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე დააკავეს. ინფორმაციას სააგენტო "ინტერპრესნიუსი" ავრცელებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებს: გენო ქ-ს, ემზარ ც-ს, მამუკა ა-ს, ირაკლი ხ-ს და რამაზ კ-ს., საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ,დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე,უკანონო ქმედების ჩადენის შედეგად, მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით შეუთანხმდნენ, რომ მოახდენდნენ ინერტული მასალის - ქვიშა-ღორღის ლიცენზიის გარეშე მოპოვებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, გენო ქ-მ, ემზარ ც-მ, მამუკა ა-მ, ირაკლი ხ-მ, და რამაზ კ-მ, 2017-2018 წლებში არ განახორციელეს კანონით გათვალისწინებული მათზე დაკისრებული მოვალეობები და აღნიშნული კომპანიების წარმომადგენლების უკანონო ქმედებებში მხილებისა და სადამსჯელო ღონისძიებების ნაცვლად, თავისი უმოქმედობით და ყალბი დოკუმენტების შედგენის შედეგად, საშუალება მისცეს იმავე კომპანიების წარმომადგენლებს, მოეხდინათ დიდი ოდენობით ინერტული მასალის, ქვიშა-ღორღის ლიცენზიის გარეშე მოპოვება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

2018 წლის 29 მარტს გენო ქ. ემზარ ც., მამუკა ა., ირაკლი ხ. და რამაზ კ. დაკავებული იქნენ ბრალდებულის სახით", - აცხადებენ სუს-ში.

გამოძიება სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 341 მუხლით), რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხ წლამდე ვადით.

ახალი საგადასახადო ინიციატივა მცირე მეწარმეებისათვის

უნიკალური მოვლენა, რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

თემურ მარშანიშვილი

ახალი საგადასახადო ინიციატივის შესახებ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო რეგიონებში განაგრძობს საინფორმაციო კამპანიას.

ამ მიზნით, 29 მარტს ფინანსთა მინისტრი **მამუკა ბახტაძე** და მისი მოადგილე **ლაშა ხუციშვილი** ქალაქ ოზურგეთში, კოლეჯ „ჰორიზონტის“ საქტო დარბაზში ადგილობრივ მცირე მეწარმეებს შეხვდნენ.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ახალი საგადასახადო ინიციატივა ითვალისწინებს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის შემოღებას, რომელიც შეეხება 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს. ახალი ისიციატივის შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭებათ მეწარმეებს, რომელთა შემოსავალი სათიაოდ წლის განმავლობაში 500 ათას ლარამდე იქნება, ხოლო მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება ერთობლივი შემოსავლის 1%-იანი გადასახადით.

ახალი საგადასახადო რეფორმა უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭვირვალობას, რაც ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს, უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე.

ფინანსთა მინისტრის თქმით, შემოთავაზებული ცვლილებები მნიშვნელოვანი სტიმული იქნება მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი რეფორმა საგადასახადო სისტემაში, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გატარებულა, რომელიც, როგორც უნიკალური მოვლენა, მხარდაჭერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ.

მამუკა ბახტაძე: „საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტერი — ეს არის სიღარიბე, რომელიც ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამარცხოთ. თუ სიღარიბეს ვერ დავამარცხებთ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ვერც ერთ ასპექტში ვერ ვიქნებით წარმატებული.

გასული წლის მონაცემებით, ჩვენი მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი ცხოვრობს სიღარიბეში და თითოეული ჩვენი ეკონომიკური ინიციატივა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხოთ სიღარიბე. ჩვენი ინიციატივაც სწორედ ამ მიზნით განხორციელდა.

ჩვენს ეკონომიკაში ჩვენ გვაქვს რამდენიმე ნეგატიური ფაქტორი. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნეგატივი, ჩემი შეფასებით, არის ის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ჩვენს ეკონომიკაში არის ძალიან პატარა. თქვენ თუ გადახედავთ წარმატებული ეკონომიკის მაგალითებს, დაინახავთ, რომ ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით. შესაბამისად, სიღარიბის და უმუშევრობის დაძლევის მარტივი და

გვ-3

სიმღერისა და გალობის მუზეუმის შენობა საექსპლუატაციოდ 31 აგვისტოს უნდა ჩაბარდეს

ალიონი. სოფელ მაკვანეთში არტემ ერქომაიშვილის სახელობის სიმღერისა და გალობის მუზეუმის ორსართულიანი შენობა, რომლის დამკვეთია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო შემსრულებელი – შპს „კაიზენი“, საექსპლუატაციოდ 31 აგვისტოს უნდა ჩაბარდეს.

მშენებარე ობიექტზე „ალიონი“ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, ბატონ ავთანდილ სურგულაძესთან ერთად, 27 მარტს იმყოფებოდა და ფოტოზე დააფიქსირა პირველი სართულის დამამთავრებელი ფაზა და მეორე სართულის ფუძის საწყისი სამუშაოები, რის შემდეგაც მშენებლები შეუდგებიან მეორე სართულის შენებას.

ავთანდილ სურგულაძის თქმით, მშენებლობა ათი დღის წინ მოინახულა და მოიწონა ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა:

„მშენებლობა ათი დღის წინ მოინახულა და მოიწონა ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა თქვენაც ხედავთ, აქ, ქართული ფოლკლორის მოამაგეთა საძვალის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორი მტკიცე და არქიტექტურულად სრულყოფილი შენობა იგება.

როგორც მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გვითხრეს, მშენებლობა აუცილებლად დამთავრდება დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულ ვადაში, ანუ 31 აგვისტოსთვის მზად იქნება საექსპლუატაციოდ.

ოზურგეთელებს მალე ელექტრონული პეტიციით სარგებლობა შეეძლებათ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ერთ-ერთი პირველი იქნება, რომელიც ელექტრონულ პეტიციას დანერგავს.

ელექტრონული პეტიციის შემუშავების ვალდებულება საკრებულომ ცოტა ხნის წინ დარეგისტრირებული პეტიციითაც აიღო.

ელექტრონული პეტიციის მოდული, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა“ და ოზურგეთის საკრებულოს პარტნიორობით, „ელექტრონული მექანიზმები ღია თვითმმართველობისათვის“ პროექტის ფარგლებში შემუშავდება და მისი ინტეგრირება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე **www.ozurgeti.mun.gov.ge** მოხდება.

აღნიშნული პროექტის შესახებ, ორგანიზაციის წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიასა და საკრებულოს წევრებს 28 მარტს ესაუბრნენ.

საკრებულომ შესაბამის ნორმატიულ აქტის პროექტზე მუშაობა უკვე დაიწყო, ამ მხრივ ცვლილებები იგეგმება რეგლამენტშიც.

„სამართლებრივი აქტის პროექტში გათვალისწინებული იქნება პეტიციის ელექტრონული სახით წარდგენის შემთხვევაში პეტიციის დასარეგისტრირებლად მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამომრჩევლის საერთო რაოდენობის 1%-ის 0,5 %-მდე შემცირებაც, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მიერ ელექტრონული პეტიციით სარგებლობას“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

„ეს არის კარგი პრეცედენტი. ჩვენ სამოქალაქო ჩართულობის ახალი მექანიზმების დანერგვით მოქალაქეთა მონაწილეობას გავზრდით თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ღია მმართველობის პარტნიორობის (**OGP**) ფარგლებში, ეს იქნება საკრებულოს წინ გადადგმული ნაბიჯი არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით“. - განაცხადეს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წარმომადგენლებმა.

ელექტრონული პეტიციის მოდულის შემუშავება დაახლოებით ორ თვეში დასრულდება. პროექტი „ელექტრონული მექანიზმები ღია თვითმმართველობისათვის“ ხორციელდება ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (**EWMI) ACCESS** - ის პროექტის ფარგლებში.

ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი კვირეული „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში“

ალიონი. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ახალგაზრდული მიმართულების ფარგლებში მარტში დაიგეგმა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის მიზანი იყო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში ქალების მოტივაციის ამაღლება.

კვირეულის ფარგლებში მიმდინარე აქტივობები ემსახურებოდა მეწარმეობის იდეის პოპულარიზებას და ქალთა ამ მიმართულებითაც გააქტიურების ხელშეწყობას.

განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

– დათო ტურაშვილის საჯარო ლექცია „ჯერის პირველი რესპუბლიკა და ქალთა უფლებები“;

–სასწავლო ტრენინგი „სამეწარმეო აზროვნების განვითარების კურსი“. მოწვეული იყო ექსპერტი/ტრენერი შორენა ლორთქიფანიძე;

– საჯარო ლექცია „ღვინის კულტურის მოყვანის, მოვლისა და რეალიზაციის თავისებურებები. ექსპერტი – ახალგაზრდა მეწარმე ქეთო ნინიძე, საოჯახო მარანი - ოდა/ და **Family Winery);**

– თამარ პაქსაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა;

– ვიზიტი „ბაიას ღვინის“ (იმერეთი) საწარმოში;

კვირეულის შემაჯამებელი აქტივობა შედგა 26 მარტს. საჯარო ლექცია „გასტრონომიული ტურიზმი და საქართველო“ წაიკითხა მოწვეულმა ექსპერტმა ესმა კუნჭულიამ (ჟურნალისტი, ტელეწამყვანი, ჟურნალი „პირველი –მამაკაცებისათვის“ და „პირველი კულინარის“ დამფუძნებელი).

ლექციაზე საუბარი წარიმართა ქალბატონი ესმას ოჯახის მიერ წოდორეთში დაწყებული გასტრონომიული ტურიზმის გამოცდილების, ქვევრის ღვინის და გასტრონომიული კულტურების ტურიზმისთვის სასურველ და მოთხოვნად საქმედ ქცევასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ესმამ დამსწრეთ გაგვიზიარა გამოცდილება, როგორ ვაქციოთ გასტრონომიული კულტურა ბიზნესად. დამსწრე აუდიტორიას შესაძლებლობა მიეცა პრაქტიკულად ენახა, როგორ შეიძლება კერძის ვიზუალზე ზრუნვა, რათა ის მყიდველისთვის გახდეს მისაღები და ოჯახის შემოსავლის წყარო.

კვირეულში ჩართული იყვნენ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ პარტნიორი თემების ახალგაზრდული პროგრამების მონაწილენი.

აქტივობა საქველმოქმედო იყო, საოჯახო რეცეპტით მომზადებული გურული ბებოს ფლავი გაიყიდა სიმბოლურ ფასად და მოხმარდა ონკოლოგიური დაავადების მქონე ქალბატონისათვის მედიკამენტების შეძენას.

კვირეულის მხარდაჭერა განხორციელდა „პური მსოფლიოს“ – **Brot fur die Welt** და „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (**PITA)** ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (**UNAG**) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების (**USAID**) ფინანსური მხარდაჭერით.

გმირთა მოედანზე „ვარდების ხეივანი“ გაშენდება

გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცენტრალურ სკვერში ვარდების ხეივანი გაშენდება. სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ დაათვალიერა. როგორც მერმა აღნიშნა, იგეგმება დიდების მემორიალის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,80 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ახალი საგადასახადო ინიციატივა მცირე მეწარმეებისათვის

უნიკალური მოვლენა, რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

ყველაზე ეფექტური ფორმულა – ეს არის მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მაქსიმალურად წაგვეხალისებინა მცირე და საშუალო მეწარმეობა საქართველოში და როგორც შედეგი, მიგვეღო ისეთი ტიპის ეკონომიკური ზრდა, რომელიც შეეხება მოსახლეობის ყველა ფენას, ჩვენს თითოეულ მოქალაქეს.

აღნიშნული რეფორმის შედეგად ამ შეღავათით ისარგებლებს 120 ათასზე მეტი ინდმეწარმე, ჩვენი 120 ათასი მოქალაქე, მარტოკა მდომი ოჯახები და ის ადამიანები, ვინც მათ ასაქმებენ. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი რეფორმა საგადასახადო სისტემაში, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გატარებულა, რომელიც, როგორც უნიკალური მოვლენა, მხარდაჭერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ.

არ გვაქვს ილუზია, რომ მხოლოდ ამ რეფორმის შედეგად დავამარცხებთ სიღარიბეს. ძალიან მნიშვნელოვან პრობლემად და ბარიერად არსებობს დღეს ის გარემოება, რომ შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, ბიზნესი ვერ ახერხებს თავისი საქმიანობის გაფართოებას, გაფართოება კიდევ კარგი ვარიანტია, საქმიანობის დაწყებასაც კი ხშირ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ რეფორმას მოყვება კიდევ უფრო მასშტაბური ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან სასტარტო კაპიტალის უზრუნველყოფას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. აქ, რა თქმა უნდა, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ რეგიონულ განვითარებაზე, იმიტომ, რომ კიდევ ერთი დიდი ნეგატივი, რაც ჩვენს ეკონომიკაში შეინიშნება, არის ის, რომ ჩვენ მივიღეთ თავკომბალა ეკონომიკური სისტემა, სადაც ეკონომიკური საქმიანობის დიდი ნაწილი მოდის დედაქალაქზე. გვჭირდება უფრო თანაბარი განვითარება, სადაც რეგიონში და რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებას ექნება პრიორიტეტი. შესაბამისად, სასტარტო კაპიტალზე წვდომის რეფორმაში გვექნება ორი პრიორიტეტი: პირველი – მივცეთ სასტარტო კაპიტალი მცირე და საშუალო მეწარმეებს და მეორე – ფოკუსი გავაკეთოთ რეგიონულ განვითარებაზე. აღნიშნული რეფორმაც ძალიან მოკლე ვადებში დაანონსდება.

ახლა კი, ნება მიბოძეთ ჩამოგითვალოთ ის ძირითადი პრინციპები, რასაც ეფუძნება ახალი საგადასახადო ინიციატივა:

– გადასახადებს მცირე მეწარმეებისათვის შევამცირებთ ხუთჯერ, არსებული 5-პროცენტიანი განაკვეთიდან ჩამოვალთ სიმბოლურ ერთ პროცენტზე;

– გავზრდით მცირე მეწარმეობის ზღვარს ხუთჯერ, არსებული 100 ათასი ლარიდან 500 ათას ლარამდე და ფაქტობრივად საქართველოში თავისი საქმიანობით დაკავებული ყველა ინდმეწარმე ისარგებლებს ამ შეღავათით;

– გავაუქმებთ წინასწარი გადახდების სისტემას. დღეს, მოგეხსენებათ, რომ ავანსების რეჟიმში წინასწარ იხდიან მეწარმეები გადასახადებს, საავანსო გადასახადები გაუქმდება და მხოლოდ საგადასახადო პერიოდის ბოლოს გადაიხდის მეწარმე თავის ერთპროცენტიან გადასახადს;

– ჩვენ გვინდა, რომ მაქსიმალურად ჩამოვაშოროთ ბიუროკრატია ბიზნესს, აქედან გამომდინარე, კომპლექსური ბუღალტერიის წარმოება აღარ იქნება სავალდებულო, ბუღალტრული გატარებების კეთება, ამორტიზაციები, ცვეთების დარიცხვა და ა. შ. ჩვენ ამ ყველაფერს ვაუქმებთ, იქნება ძალიან მარტივი ფორმა;

– ახალი ინიციატივის მიხედვით, მეწარმეებს ექნებათ საშუალება, რომ დარეგისტრირდნენ დღგ-ს გადამხდელებადაც და ამავე დროს შეინარჩუნონ მცირე მეწარმის სტატუსი, ანუ გადაიხადონ ერთპროცენტიანი გადასახადი. დღეს არსებული მოდელის მიხედვით, როგორც თქვენ იცით, როდესაც ადამიანი გამოწერს ანგარიშფაქტურას, მას ავტომატურად უუქმდება მცირე მეწარმის სტატუსი. ახალი ინიციატივის მიხედვით, ადამიანი შეიძლება იყოს მცირე მეწარმის სტატუსის მქონე, ანუ გადაიხადოს მხოლოდ ერთი პროცენტი და ამავე დროს გამოწეროს დღგ-ს ანგარიშფაქტურა.

ეს არის მართლაც უპრეცედენტო მოვლენა მსოფლიო საგადასადო პრაქტიკაში, რომლის მიზანი არის, – კიდევ ერთხელ განვმეორდები, – ერთხელ დასამუდამოდ დავამარცხოთ სიღარიბე საქართველოში.

ეს რეფორმა, სხვა რეფორმებთან ერთად და, რა თქმა უნდა მცირე მეწარმეების ჩართულობა გახდება იმისი წინაპირობა, რომ საქართველოში მივიღოთ სრულიად ახალი, გავჯანსაღებული ეკონომიკური სტრუქტურა. დღეს რასაც ჩვენ ვუყურებთ, - ბუნებრივია, ეს არის ძალიან ცუდი და ძალიან მყიფე, – ბიუჯეტის დაახლოებით 50 პროცენტი ფორმირდება 300-ზე მეტი ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავლებით. ძალიან ცუდია, როდესაც ჩვენ ვერ ვხედავთ ტენდენციებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხდება მსხვილი და რეგისტრირდება სრულ გადამხდელად. შესაბამისად, აღნიშნულ რეფორმას აქვს არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური ხასიათიც“.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები უკვე განიხილება საპარლამენტო კომიტეტებში.

შეხვედრის დასასრულს დარბაზიდან წამოსული ნაკლები შეკითხვები, ჩვენი აზრით, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ გურულმა მეწარმეებმა ახალი ინიციატივისადმი ნაკლები ინტერესი გამოიჩინეს. საქმე ისაა, რომ ამ თემაზე საზოგადოება უკვე საკმაოდ იყო ინფორმირებული არჩილ თალაკვაძისგან, რომელიც გასულ კვირაში, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საზოგადოების თანდასწრებით, შეხვდა მცირე მეწარმეებს, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ახალ საგადასახადო ინიციატივაზე საუბრისას, დაანონსა ამ საკითხზე ოზურგეთში ფინანსთა მინისტრის ჩამობრძანება.

შეხვედრას, მეწარმეებთან ერთად, დაესწრნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე, გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე და რეგიონში შემავალი სამივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

მაჟორიტარები

დავით ჭაკნელიძე – სოფელი შრომა

დავით ჭაკნელიძე სოფელ შრომის მაჟორიტარი დეპუტატი მეორედ 1065 (70.67%) - ხმით გახდა.

,,საკრებულო ეს არის პოლიტიკურო ორგანო, რომელმაც უნდა შეაფასოს და გააკეთოს სწორი პოლიტიკური არჩევანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამოდინარე. მე, როგორც თქვენს წარმომადგენელს საკრებულოში, სწორედ ეს პასუხისმგებლობა მაკისრია. უკვე მეორედ მეძლევა შესაძლებლობა გავახმოვანო შრომელების პრობელემები და ვიზრუნო მათი გადაჭრის გზების მოძიებაზე.

მოგეხსენებათ, თავისი არსით მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ინფრსატრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. სოფელშიც ამ მიმართულებით ბევრი პრობლემაა. გასულ წლებში მოხერხდა ცენტრალური გზის სრული რეაბილიტაცია, შიდა გზები ნაწილობრივ მოწესრიგდა. თუმცა შრომში თავისი რელიეფიდან გამომდინარე შიდა გზების მოწესრიგება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. დაგეგმილია ე.წ. ვაკის უბანში 200 მეტრი სიგრძის ბეტონის გზეის მოწყობა, მალე დაიწყება მოხრეშვითი სამუშაოებიც.

სოფელში დასრულდა ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანება, რაც ჩვენი თანასოფლელებისთვის ერთ-ერთ ძირითად გადაჭრილ პრობლემად ითვლება. საჭიროა გარე განათებების მოწყობა, რადგან სოფლის მხოლოდ ცენტრალურ ქუჩაზეა დამონტაჟებული და ისიც არასრულად. სოფელი არ არის გაზიფიცირებული.

ინფრასტრუქტურული პროექტებთან ერთად, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სკოლამდელი განათლებაა. შრომის მეორე ბაღს ახალი კაპიტალური შენობა სჭირდება. პრობლემის მოგვარების მიზნით მუშაობა დაწყებულია.

სოციალური პროგრამების განხორციელება არ უნდ აწარმოადგენდეს პრიორიტეტულ მიმართულებას, თუმცა დიდი ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტისა იხარჯება მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებებსა და დახმარებებზე. აღნიშნული პროგრამებით ისარგებლეს თანასოფლელებმაც. ვეცადეთ უყურადღებოდ არ დარჩენილიყო არავინ.

მესმის და თქვენთან ერთად ვიზიარებ იმ აზრს, რომ საკმარისი გაკეთებული ნამდვილად არ არის. ვერც გვექნება იმის ილუზია, რომ უცებ შეიძლება სოფლისთვის მტკივნეული საკითხების მოგვარება. თუმცა ჩემს საზრუნავს მართლაც წარმოადგენს ჩემი სოფელი. გთავაზობთ ერთს, ერთად გადავწყვიტოთ საერთო ინტერესების მიკუთვნებული პრობლემები. თქვენი ნდობის მანდატით, მე კვლავაც შევეცდები ნებიმიერი თქვენგანის დასმული შეკითხვით მივმართო და მივიღო პასუხი საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირებისგან, უშალოდ მივიღო მონაწილეობა დასმული საკითხების გადაწყვეტაში, გაცემული პასუხების შეფასებაში.“

ვლადიმერ ღლონტი - სოფელ ოზურგეთი

2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში სოფელ ოზურგეთმა ნდობა პირველად ვლადიმერ ღლონტს 311 (43.07%) ხმით გამოუცხადა.

,, ადვილად არ მიმიღია გადაწყვეტილება კენჭი მეყარა ჩემს სოფელში. თუმცა გამოცხადებულმა ნდობამ დამატებით მომცა სტიმული და მოტივაცია დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების. ჩემი საქმიანობა საკრებულოში მხოლოდ საკრებულოს სხდომებზე დასწრებით არ შემოიფარგლება, მე ჩართული ვარ კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში. სწორედ ასეთ რეჟიმში ვახდენთ საკითხებზე მსჯელობას, პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას და პრიორიტეტების დასახვას. უპირველესად გასათვალისწინებელი თანასოფლელების ინტერესები, მათი ხედვებია. მსჯელობით, კამათით მივდივართ კონსესუსამდე, საბოლოოდ გადაწყვეტილებები პროექტების სახით ხორციელდება.

მსურს მოკლედ ვისაუბრო სოფელში უკვე გაკეთებულ საქმეებსა და გადასაჭრელ პრობლემებზე. გასულ წლებში დასრულდა გაზიფიცირება, ნაწილობრივ რეაბილიტირდა ადმინისტრაციული შენობა, ამბულატორია. შეკეთდა შიდა გზები. ყველაზე მთავარი ჩვენი პატარებისთვის აშენდა ახალი კაპიტალური საბავშო ბაღის შენობა. ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი მონაპოვარია, რადგან ჩვენი ბავშვებისთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის პირდაპირი ვალდებულებაა. თითქმის დასრულდა გარე განათების მოწყობა. თუმცა რამდენიმე უბანში საჭიროა ლამპიონების, ელექტრო სადენების შეცვლა, დამატება. საჭიროა სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა, უბნებში გზებზე ურმულების ამოვსება, მოხრეშვა, დაგრეიდერება. შესაღობია სოფლის სასაფალაო; სოფელ ოზურგეთი საჭიროებს წყლის სისტემის რეაბილიტაციას. მოგეხსენებათ ჩვენი ახალგზრდები არის როგორც სოფლის ასევე ქვეყნის მომავალი. სოფლის სკოლა საჭიროებს რემონტს. კერძოდ მოსაწყობია სველი წერტილები, ეზოს ღობე, ცენტრალური გათბობა არ არის სკოლაში და ასევე ფასადის რეაბილიტაციაა საჭირო. ვფიქრობ, სკოლისთვის ამ პრობელემების გადაჭრა იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოგვარებული პრობლემა. სოფელს გააჩნდა კულტურის სახლი, თუმცა საჭიროა მისი რეაბილიტაცია. კულტურის სახლის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს თანასოფლელების ნიჭის რეალიზებას, გამოაღვიძებს კულტურულ ცხოვრებას სოფელში.

მართლაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იმაზეც ვთანხმდებით, რომ ერთდროულად ამდენი პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. თუმცა თქვენი ჩართულობით, თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით ჩვენ გასულ პერიოდშიც და დღესაც ეტაპობრივად ვაგვარებთ პრობელემებს. მჯერა, ერთად შევძლებთ სოფლისა და მუნიციპალიტეტის წინსვლას, კეთილდღეობას.“

„ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე“

სოფელი ზოტი და მისი „ულეველა“

ლაფეტი, გუთანი, 2 ცალი სათიბელა, საფოცხი და საპრესი, უახლეს პერიოდში მივიღებთ ტრაქტორს.

ამჟამად ვმონაწილეობთ რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში. იმედი მაქვს, აქაც გავიმარჯვებთ და შემოდგომაზე გუბაზეულის ხეობა იამაყებს ზოტში, „გურიის მთებში“ არსებული რძის გადამამუშავებელი საწარმოთი.

თითოეული ეს წარმატება მხოლოდ ჩვენი მონდომებით არ ყოფილა, მხარში გვედგნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი (ამჟამად მერი), ბატონი **ირაკლი კუჭავა,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ქალბატონი **მანანა მინდაძე** და მისი კოლექტივი: ბატონები - **ედიშერ სიხარულიძე, თემურ ძნელაძე და ზაზა ცხოიძე.**

ქალბატონი მანანა სამჯერ ამოვიდა ზოტში, ისაუბრა მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებზე. გვესტუმრა მთაშიც, კოოპერატივების საგენტოს წარმომადგენელ **დავით ჭურღულიასთან** ერთად. დაურიგა მეპაიეებს ბროშურები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, სამინისტროს გაზეთი „ჩვენი სოფელი“ და სხვა. ყველა კმაყოფილი დავრჩით. ახლახან ქალბატონი მანანა, ედიშერ სიხარულიძესთან ერთად, ბრძანდებოდა ჩვენს სოფელში, დაათვალიერეს მიღებული ტექნიკა და ის ადგილი , სადაც რძის დამამუშავებელი საამქრო უნდა აშენდეს.

მინდა მადლობა გადაუხადო ჩოხატაურის სურსათის სააგენტოს მუშაკებს: ქალბატონ **ციგოს და ლევანს,** რომლებმაც არ დაიზარეს, ამოვიდნენ ზოტში, თითოეულ მეპაიესთან მივიდნენ, გადაამოწმეს პირუტყვთა რაოდენობა და მოგვცეს ცნობა. ნოტარიუსმა, ქალბატონმა **ლია ვადაჭკორიამ** გამოძებნა დრო და ზოტში ამობრძანდა, ჩაატარა კრება და სანოტარო დამოწმებაც გააკეთა. ჩვენით და ჩვენი პროექტით დაინტერესდა ასევე მედია.

დიდ მადლობას ვუხდი სოფლის გამგებელ **თემური კონცელიძეს** და სოფლის დეპუტატ **უშანგი ართმელაძეს,** მოკლედ, ყველას, ვინც გვერდში გვედგა და გვეხმარებოდა. მე კი გკპირდებით, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან და თქვენც კმაყოფილი იქნებით ჩვენი საქმიანობით.

ნევრიზ მიქელაძე,
კოოპერატივ „ულეველას“
თავმჯდომარე.

საერთაშორისო ჯილდო ჯემალ ჭკუასელს



შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის რეიტინგების კავშირის საერთაშორისო ჯილდო ქართული ფოლკლორის ეროვნული საგანძურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, აგრეთვე შოუ პროგრამების („ქართული ლეგენდა“, „ლეგენდა თამარზე“, „ლეგენდა ქარიშხალზე“, „ქართული საგანძური“) იდეის განხორციელებისათვის, შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის რეიტინგების კავშირის საერთაშორისო ჯილდო გადაეცა ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ ჯემალ ჭკუასელს.

ვულოცავთ ბატონ ჯემალს ამ მაღალ ჯილდოს და საერთაშორისო მასშტაბით კიდევ ერთხელ აღიარებას!

გაბრიელ მდინარაძის, როგორც სახალხო არტისტის, კიდევ ერთი აღიარება

28 მარტს თეატრის საერთაშორისო დღეს და საკუთარი დაბადების დღეს, ოზურგეთის ალ წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრის მსახიობს, საქა-რთველოს სახალხო არტისტს, უშანგი ჩხეიძის პრემიის ლაურეატს, ბატონ გაბრიელ მდინარაძეს გადაეცა კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო „ქურუმი“.

ვულოცავთ გურულების საამაყო,. 90 წლის „გაბილას“ დიდ იუბილესა და კიდევ ერთ აღიარებას, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, კვლავ წარმატებებს პირად და შემოქმედებით საქმიანობაში!

<u>იუბილე</u>

ბატონი რომან ცეცხლაძე 85 წლისაა!



ჩვენი უფროსი კოლეგა, ბატონი რომან ცეცხლაძე 85 წლისაა! 16 მარტს ამ სახელდებული ადამიანის იუბილე მოკრძალებულად აღინიშნა მშობლიურ სოფელ შრომაში.

იშვიათია ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი შრომითი ბიოგრაფიის ადამიანები. რა თქმა უნდა, სამაგალითოა, მისი პირადი ცხოვრებაც.

ბატონმა რომანმა წარჩინებით დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და და მუშაობა შრომის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად დაიწყო. შემდეგ იგი პარტიული მუშაკი იყო, მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავის უფროს მეგობართან მიხაკო ორაგველიძესთან, ასევე სხვა აქტიურ თანამშრომლებთან ერთად, წყვეტდა სოფლის საჭირბოროტო საკითხებს.

ბატონი რომანი სრულიად ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში სოფლის მრავალტირაჟიან ბეჭდვით გაზეთს „მეგობრობის დროშით“ და 1973 წლამდე მისი რედაქტორი იყო. გაზეთის ფურცლებზე საინტერესოდ და მიგნებულად შუქდებოდა მასალები სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, მათ შორის უმთავრესი, უცვლელი თემა ხალხთა მეგობრობა იყო, — სოფელ შრომას ხომ დიდი ხნის ძმობა და თანამშრომლობა აკავშირებდა უკრაინელებთან — გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოესთან.

ბატონ რომანს მრავალი მასალა აქვს გამოქვეყნებიული საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრესაში და დღესაც, არ გაუწყვეტია შემოქმედებითი კავშირი მედიასაშუალებებთან.

წლების მანძილზე კეთილსინდისიერი ნაყოფიერი შრომისათვის რომან ცეცხლაძე დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და სიგელით.

16 მარტს მშობლიურ სოფელში იუბილარს მიესალმნენ:

ბათუმიდან — **გივი ცეცხლაძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ბათუმის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგი; **დავით ცეცხლაძე,** ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს რადიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; **დიმიტრი ცეცხლაძე,** აჭარაში ტუბდისპანსერის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი, ფიზიოპულმონოლოგიური დეპარტამენტის უფროსი; **შოთა ცეცხლაძე,** მწერალი, პუბლიცისტი; **ვალერიან ცეცხლაძე,** აფთიაქის გამგე; **ბაგრატ ცეცხლაძე,** ბიზნესმენი; **ბადრი ცეცხლაძე,** ბიზნესმენი; **ჯამბულ მაკარაძე,** ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ნევროლოგიური დეპარტამენტის უფროსი; **აკაკი სირაძე,** ბიზნესმენი; **როსტომ ვაშაყმაძე,** მუსიკოსი; **რომან ფაღავა,** ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სანავსადგურო ფლოტის კაპიტან-დამრიგებელი; **მაია ცეცხლაძე,** ბიზნესმენი.

ქობულეთიდან — **მურმან ცეცხლაძე,** შპს „ქობულეთის წყალის“ დირექტორის მოადგილე; **ინგა ჯიჯავაძე,** ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ პედაგოგი.

სოფელ შრომიდან — **გივი ხომერიკი,** შრომის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე; **მიხო მეჟავანაძე,** შრომის კოლმეურმეობის ყოფილი მთავარი აგრონომი; **ზურაბ მეჟავანაძე,** სოფლის ყოფილი გამგებელი; **ვასილ ჭაკანელიძე,** ყოფილი ბრიგადირი; **თამაზ გუჯაბიძე,** ყოფილი ელექტრიკოსი, **ლაშა იობიშვილი,** აგრონომი და სხვ.

ობიექტური მიზეზების გამო, საიუბილეო ღონისძიებას ვერ დაესწრო გაზეთი „ალიონი“.

ვულოცავთ ჩვენს მხცოვან, დამსახურებულ კოლეგას დაბადების 85 წელს, ვუსურვებთ, ჯანმრთელობას, მხნეობას, კვლავაც კარგ კალმოსნობას! ვეცდებით საუკუნოვან იუბილეზე დავესწროთ და ექსკლუზიური ინტერვიუც გავმართოთ მასთან.

პატივისცემით,
გაზეთი „ალიონი“.

„მასწავლებელი, რომელიც მკაცრი ნიღბის ქვეშ, უკეთილშობილეს გულს მალავდა“

ალიონი. „მასწავლებელი, რომელიც მკაცრი ნიღბის ქვეშ, უკეთილშობილეს გულს მალავდა“— ასე შეაფასა ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის ამაგდარი პედაგოგის, ქალბატონ ლუბა კილურაძის ღვაწლი სოციალურ ქსელში დაბადებიდან 93 წლის მილოცვისას, მისი სადამრიგებლო კლასის ყოფილმა მოსწავლემ, ქალბატონმა ნანა ძნელაძემ.

მართლაც კარგი შეფასებაა. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლას მუდამ ამშვენებდა სახელოვანი პედაგოგები. ერთ-ერთი იმათთაგანი ლუბა კილურაძეა, რომელიც ათეული წლების მანძილზე მუშაობდა ქიმიის მასწავლებლად აღნიშნულ სკოლაში.

27 მარტი ლუბა კილურაძის დაბადების დღეა. არაერთი თაობის აღმზრდელ პედაგოგს ამ დღეს დაბადებიდან 93 წელი შეუსრულდა. ქალბატონი ლუბა მხნედ გამოიყურებოდა. სიყვარულით ხვდებოდა სტუმრებს. სტუმართა შორის არაერთი ცნობილი ადამიანი იყო. საქართველოს თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **როზა გოგუაძემ** მიულოცა დაბადების დღე. სტუმართა შორის იყო ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, ამჟამად პენსიონერი ელიკო თავდუმაძე.

ელიკო თავდუმაძე: —ქალბატონი ლუბა ჩემი მასწავლებელი იყო ანასეულის საშუალო სკოლაში. მას უკვე ჰქონდა პედაგოგიური სტაჟი. ჭანიეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი იყო და მის და მარგალიტასთან ერთად, ოზურგეთის მუშა-ახალგაზრდობის ღამის სკოლაშიც მუშობდა პედაგოგად. ყოველთვის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო. სკოლის გარეთ მოსწავლეებთან მეგობრობდა კიდეც. მე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 18 წელი ანასეულის ინსტიტუტში ვიმუშავე. 1974 წელს №1 საშუალო სკოლაში დავიწყე მუშაობა ბიოლოგიის მასწავლებლად. ჩვენი მეგობრობა აქაც გაგრძელდა. სკოლაში ძალიან მაღალი ავტორიტეტის მქონე პედაგოგთა შორის ვმუშაობდი. ერთ-ერთი ქალბატონი ლუბა იყო. თანაც საუკეთესო ოჯახი ჰქონდა და მისი შვილები დარეჯანი და თამარი გამორჩეული ადამიანები არიან. დღეს მეც პენსიონერი ვარ. ორი წლის წინ გამოვემშვიდობე სკოლას. თუმცა ჩვენი მეგობრობა და ახლობლობა კვლავაც გრძელდება. ქალიშვილ ნინოსთან (პედაგოგია) ერთად ვესტუმრე და დაბადებიდან 93 წელი მივულოცე.

ქალბატონმა როზა გოგუაძემ და იუბილარმა ბევრი ისაუბრეს. გაიხსენეს არაერთი ცნობილი პედაგოგი, ადამიანებს შორის თბილი დამოკიდებულება, რომლის დეფიციტი დღეს საგრძნობია. შემდეგ ქალიშვილმა თამარმა, რომელიც ამჟამად სოფელ გომის სკოლაში ასწავლის ქიმია-ბიოლოგიას, მაგიდასთან მიგვიწვია. განათლების პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ მირთმეული საუბილეო საუბილეო ტორტი გაჭრეს და ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს იუბილარს.

ეს წერილი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორის, პედაგოგის ოჯახში აღზრდილი **ავთანდილ სურგულაძის** მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მილოცვით გვინდა დავასრულოთ: —იცოცხლე ლუბა მასწავლებელო, თქვენ და თქვენი მეუღლე ამშვენებდით ოზურგეთს. იცოცხლეთ დიდხანს, თქვენ დღესაც ამშვენებთ ამ წუთისოფელს.

ერთი ოჯახის სევდიანი ისტორია

ნუგზარ ასათიანი

თამარ მელიქაძისა და ხარიტონ ჯინჭარაძის ოჯახი ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ვერ გადაურჩა გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების სუსხს. 13 წლის წინ ამ ოჯახის უკანასკნელი წევრი გარდაიცვალა. დარჩა ლამაზი მოგონებები და სევდიანი ისტორია, რომლის გადმოცემას 10 წელზე მეტია ვლამობ...



მაქსიმელ მელიქაძე

მელიქაძეები

მელიქაძეთა გვარიდან წერილის დაწყება განაპირობა ჟურნალ "ჭოროხის" 1982 წლის ნომრებში, მწერალ ნესტორ მალაზონიას წერილმა „მოგონებათა წიგნიდან" .

დაახლოებით, მე-20 საუკუნის დასაწყისში მომავალი მწერალი სოფელ მამათიდან ოზურგეთში ჩამოვიდა სახარაზო საქმის შესასწავლად. ეს ის პერიოდია, ოზურგეთის „გარადავო" (ქალაქის უფროსი) ეგნატე ტრაპაიძეა. იგი მთელ ქალაქში იცავდა წესრიგს. პატარა ქალაქის ცენტრში ბაზარი და დუქნები იყო მრავლად. მწერალი „კაი ყაზახად" მოიხსენიებს ბაზრის უფროსს, გვარად ერქომაიშვილს; საწვრილმანოების მესაკუთრეებს: ილარიონ ხომერიკს, გიტო ცეცხლაძეს...

ოზურგეთში ნესტორ მალაზონიამ გიგილო გედევანიძის სახარაზოში ამოყო თავი.

სონია და ბაყათარი

პირველი, ვისაც შეხვდა, ეს სახარაზოს უფროსი მაქსიმელ მელიქაძე იყო, რომელიც სოფელ მელექედურში ცხოვრობდა. მალე თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა მომავალ მწერალსა და მაქსიმელს შორის.

„–მაქსიმელმა ფეშტებალი მომცა და გავაკეთე, ლანჩა და საპირე შემირჩია. მეც ძაფი ავარჩიე, ლანჩა და პირი ერთმანეთს მივუსადაგე. კერვა დავიწყე. მაქსიმელის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი. იგი სულ მათვალიერებდა, ხშირად ნამუშევარს მიმოწმებდა" –იხსენებს მწერალი.

შემდეგ, ნესტორ მალაზონიას, სოფელ მამათის მამასახლისის დახმარებით, ოზურგეთში სწავლის დაწყების საშუალება მიეცა. მან მაქსიმელს სთხოვა რჩევა:

–ყველაფერში გამოვუტყდი უფროსს. მე სწავლის გაგრძელების საშუალება მომეცა, რომ მთავრობა-მამასახლისი გამოძახებით მღებულობდნენ სკოლაში–თქო. ბოლოს ვთხოვე, პირობის ქაღალდი მიშლის ხელს და ხუთი თუმნის გადახდა არ შემიძლია. მომეხმარე...

მაქსიმელმა ცოტა ხანს იფიქრა. გული მისკდებოდა განაჩენის მოლოდინში.

–მე შენ მებრალები, მაგრამ გიგილომ რომ შეიტყოს, ქაღალდი მოგეცი, მაშინვე გამაგდებს.... ცოლ-შვილი შიმშილით დამეხოცება.

შენ რა უნდა ჰქნა, იცი, მას უნდა სთხოვო... მარა არ იზამს!"

ნესტორი სამეურნეო სკოლაში ჩაირიცხა. კვლავ თბილად იხსენიებს მაქსიმელს...

მაქსიმელი გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, ყოფილი მილიციის შენობის გვერდით ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, ამჟამინდელ აპოლონ წულაძის ქუჩის დასაწყისში. მეუღლე –სონა ტუღუში წარმოსადეგი ქალბატონი იყო. ჰყავდათ ორი შვილი ბაყათარი და თამარი. ისე მოხდა, რომ და-ძმა იმჟამინდელ რევოლუციურ მორევში სხვადასხვა ნაპირზე აღმოჩნდნენ: ქალბატონი თამარი ბოლშევიკური პარტიის წევრი, ხოლო ბაყათარი – მენშევიკურ იდეებს თანაუგრძნობდა.

მაქსიმელმა ექადიაზე, ამჟამინდელ თაყაიშვილის ქუჩაზე, მიწის ნაკვეთი შეიძინა. 1918 წელს, თურქების შემოსევის შემდეგ მათი ნაკვეთის მოპირდაპირედ ბებიამ და ბაბუამ შეიძინეს მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი მოაწყვეს.

ბებია –ეკატერინე გობრონიძე იხსენებდა, რომ, **ბაყათარი და სხვა ახალგაზრდები პერიოდულად იკრიბებოდნენ ე.წ. „სათხილეს" თავში, ტყისპირას და კრებებს მართავდნენ. ეს შეკრებები 1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ თბილისის აღების შემდეგაც გრძელდებოდა.**

და თამარი კი ბოლშევიკების ახალგაზრდული ორგანიზაცია „სპარტაკის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი წევრი ქალი იყო გურიაში. ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ იგი გურიის ახალგაზრდული ორგანიზაციის სამაზრო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

1924 წლის გამოსვლებისას თამარი და ბაყათარი კვლავ სხვადასხვა „ფრონტზე" იბრძოდნენ: თამარი - ბოლშევიკების ხელისუფლების დასაცავად, ხოლო ბაყათარი –ქართული სახელმწიფოს აღსადგენად. მენშევიკების აჯანყების დამაცხების შემდეგ ბაყათარი დაიჭირეს. დამ ვერ გაიმეტა თავისი სისხლი და ხორცი. თავისი ავტორიტეტის წყალობით ბაყათარი ციხიდან დაიხსნა და საქართველოდან თურქეთში გადასვლაში შეუწყო ხელი, საიდანაც იგი ოზურგეთელ ბერეჟიანთან ერთად საფრანგეთში ჩავიდა.

ჯინჭარაძეები

გურიაში, სოფელ ონჭიკეთში ცხოვრობდა შეძლებული გლეხი კოწია ლაზარეს ძე ჯინჭარაძე. მას ადგილობრივი ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

კოწია გამოირჩეოდა სილამაზით, ვაჟკაცობით და შრომისმოყვარეობით. სოფელში აგვარებდა მეზობლურ დავებსა და სხვადასხვა ძნელად გადასაწყვეტ საქმეებს. მას მოიხსენიებდნენ, როგორც „მედიატორს", ანუ საქმის მომგვარებელს.

კოწიამ თავისი ცხოვრების მეგზურად აირჩია ერკეთში მცხოვრები ულამაზესი ქალბატონი, ბაბინე ქიშვარდის ასული კალანდაძე. იგი მის მეუღლეზე ცხრა წლით იყო უფროსი.

ქალბატონი ბაბინე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და დიდი სიკეთით, ყოველთვის გვერდით ედგა გაჭირვებულებს.

კონსტანტინემ და ბაბინემ 7 შვილი გაზარდეს: ანდრო, ქიონიასი, გრიგოლ (გრიშა), თამარი, ხარიტონი, ილია (ჭიჭიკო), ფაცია.

მათ ყველა შვილს განათლება მიაღებინეს, რომლებიც შემდეგ საზოგადოებაში დაფასებული პიროვნებები იყვნენ.

ბაბინეს და კონსტანტინეს უფროსი ვაჟი ანდრო, 22 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა.

მომდევნო ქალიშვილი ქიონიასი, 1917 წლიდან იყო პარტიის წევრი. მისი მეუღლე ილარიონიც ბოლშევიკი იყო, ერკეთში გამორჩეული პიროვნება, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობზე. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ: ჟენია, მედეა, ბათურა, ლეილა, რევაზი.

გრიშას ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ გამოირჩეოდა კარგი ორგანიზატორული ნიჭით. წლების განმავლობაში მუშაობდა ერკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სოფელში ახლაც იხსენებენ ცხენზე ამხედრებულ გრიშა ჯინჭარაძეს, რომლის გამოჩენა დიდსა და პატარაში პატივისცემას და მორიდებას იწვევდა. მას ორი ვაჟი ჰყავდა: ანდრო და ზურაბი.

სილამაზით გამორჩეული თამარი კი



ხარიტონ ჯინჭარაძე

თბილისში მცხოვრებ გაბრიელ მდივანს გაჰყვა ცოლად. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: ჯანიკო, დონარა, იმედო, გულიკო.

ილიამ (ჭიჭიკო) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა.მუშაობდა სოფელ სურებში. მეუღლე -ნატაშა მამალაძე პედაგოგი იყო. ილიას ტიფი შეეყარა და 1939 წელს 29 წლის ასაკში გარდაიცვალა. დარჩა ცხრა თვის შვილი ტოგო.

შვილის გარდაცვალებიდან, რამდენიმე თვეში გარდაიცვალა ოჯახის უფროსი კონსტანტინე ჯინჭარაძე.

უმცროსი შვილი ფაცია იყო ექთანი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ბზეკალავას. ჰყავდა ორი შვილი –მზია და თამაზი.

ოჯახში ყველაზე გამორჩეული ხარიტონ ჯინჭარაძე იყო. მან სამთო-საინჟინრო ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობდა გურიის სამაზრო კომიტეტის მდივნად. ოზურგეთში მუშაობისას, თამარ მელიქაძე გაიცნო, შეუყვარდა და მასზე დაქორწინდა. მათ ერთი ქალიშვილი ჰყავდათ –იზო ჯინჭარაძე. ხარიტონი ჯერ ტყიბულში, შემდეგ ლანჩხუთში გადაიყვანეს რაიკომის მდივნად. 1937-1938 წლების რეპრესიებს ვერ გადაურჩა. დაიჭირეს, გადაასახლეს, სადაც ის დაიღუპა.

სოფელ ერკეთში, ძველ ფუძეზე, კონსტანტინე ჯინჭარაძის შვილიშვილის ზურაბ ჯინჭარაძის ოჯახი ცხოვრობს. ზურაბის შვილები ზვიადი, ეკა, ივერი ღირსეულად განაგრძობენ ამ ლამაზი ოჯახის ტრადიციებს.

ექადიაზე

როგორც ზემოთ ვთქვით, მაქსიმელ მელიქაძის ოჯახს ქ. ოზურგეთის მახლობლად, ექადიაზე მიწის ნაკვეთი ჰქონდა შეძენილი.



თამარ მელიქაძე

სიძე-ქალიშვილს ბინა თბილისშიც ჰქონდათ, თამარი თბილისში მუშაობდა თანამდებობაზე და მომავალი ეიმედებოდათ, მაგრამ ხარიტონის დაჭერის შემდეგ მათი მდგომარეობა დამძიმდა.

მეუღლის დაკავებისთანავე თამარიც დააკავეს, მალე გამოუშვეს, მაგრამ პარტიიდან გარიცხეს და სამსახურიდანაც დაითხოვეს. ქალაქის ცენტრში ორსართულიანი სახლი გაყიდეს და ექადიაზე დამკვიდრდნენ. როგორც ბებია ჰყვებოდა, ერთ უბედურებას ფინანსური პრობლემებიც მოჰყვა –ფული გაბონდა და ფაქტიურად უსახსროდ დარჩნენ. მაქსიმელი თავისი ხელობით ოჯახს ვერ არჩენდა. თამარს არსად შეეძლო მუშაობა. მეგობარი დაეხმარა და სხვისი სახელითა და გვარით აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდა მუშად. პატარა ქალიშვილს იზოს სახელმწიფო მანქანამ ბავშვობის წლები წაართვა.

ექადიაზე პატარა სახლი ჰქონდათ. არ ჰქონდათ ელემენტარული ცხოვრების პირობები, აუცილებელი საკვები...

ბებია იგონებდა: – მაქსიმელი, სონა და თამარი საუცხოო ადამიანები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უჭირდათ და თითქმის შიმშილობდნენ, თავი ღირსეულად ეჭირათ. პატარა იზო ჩემს უმცროს ქალიშვილთან, ნადიასთან მეგობრობდა. ვცდილობდი, ისე გამეკეთებინა, რომ ერთად ესადილათ. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო... განსაკუთრებით უჭირდათ ომის წლებში. ამის შესახებ კოლმეურნეობის კრებაზე ვთქვი. ექადიელებმა სიმინდი შეაგროვეს და სახლში მივუტანეთ... შემდეგ მაქსიმელი გარდაიცვალა. მეზობლებმა ფიცრები მოაგროვეს და შეჭედეს... გოშველის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ბარათები საფრანგეთიდან

ამ ბარათების შესახებ ბებიას მეშვეობით მოსწავლეობისას შევიტყვე, თუმცა ეს ბარათები გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე არ წამიკითხავს. თუკი გაამჟღავნებდენ, ჩეკასაგან მორიგი უსიამოვნება ელოდათ. წერილები იზო ჯინჭარაძის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ ანდრო ჯინჭარაძის ქალიშვილმა, ნანამ გადმომცა.

1988 წელს გადახვეწილი ბიძის ბედის შესახებ ქალბატონ იზოს დავალებით პროფესორ გურამ შარაძეს შევხდი, მაგრამ 1921-24 წლებში უცხოეთში გადახვეწილი, საფრანგეთში მცხოვრები ქართველები არა მარტო პარიზში, არამედ ლიონში, მარსელში და საფრანგეთის სხვა ქალაქებში იყვნენ გაბნეულნი და ბევრი მათგანის შესახებ ცნობები არ შემორჩა.

ქალბატონმა იზომ 1989 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანანმემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილს მიმართა.

გაზეთ „სამშობლოს" დახმარებით, რაღაც პასუხი მიიღეს ვალოდია კვაჭანტირაძისაგან, მაგრამ ბაყათარ მელიქაძის და მისი მეუღლის შესახებ ცნობები ვერ მოიპოვეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თავშესაფარი - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

ოფიციალური სტატისტიკით გურიაში ოჯახში ძალადობის ფაქტები მთელი ქვეყნის მასშტაბით უმნიშვნელო რაოდენობით ფიქსირდება.

არიან ადამიანები, ვინც ამას სიამაყით აღნიშნავენ, თუმცა სპეციალისტების შეფასებით ამის მიზეზია მხოლოდ ის, რომ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული დამცავი ინსტიტუტების და მექანიზმების შესახებ.

ხშირად მსხვერპლის დუმილის მიზეზია თავშესაფრის, გასაქცევის უქონლობაც. საქართველოში ფუნქციონირებს რამდენიმე თავშესაფარი, თუმცა ჩვენს ქალაქში - არა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გურიის მოსახლეობა საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დახმარებას ვერ მიიღებს.

გვესაუბრება ბექა მაჭუტაძე, ბათუმის თავშესაფრის უფროსი:

- ხშირად აინტერესებთ თავშესაფარში მოხვედრის გზები - 2006 წლიდან ფუნქციონირებს ეს თავშესაფარი, გამოცდილება საკმაოდ დიდია. აქ მოხვედრის ერთერთი გზა არის შემაკავებელი ორდერი, რომელსაც პოლიცია წერს და ადამიანი დაზარალებულად არის ცნობილი. ასევე არის მეორე გზა - პოლიციის გარეშე, თბილისში არის სპეციალური მობილური ჯგუფები, შედგება ფსიქოლოგების, იურისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ხდება სპეციალური კითხვარის შევსება და დაეხმარებიან დაზარალებულის სტატუსის მოპოვებაში და თავშესაფარშიც მოათავსებენ.

თავშესაფარში იურისტი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ბენეფიციარი ერთად ეძებენ გზებს ბენეფიციარის პრობლემების მოსაგვარებლად და იწყება მუშაობა სამართალდამცავებთან, ადვოკატი წარმომადგენლობს მას და იცავს მის უფლებებს, სოციალური მუშაკი ეხმარება სამსახურის მოძიებაში, გადამზადებაში, პროფესიის მოძიებაში. ფსიქოლოგი პირველივე დღიდან მუშაობს ფსიქოლოგიურ პრობლემებზე. ჩვენ ვლებულობთ ნებისმიერი რეგიონის წარმომადგენელს. თუ მომართვას ადგილით ვერ ვუზრუნველყობთ, სხვა ქალაქებში ვეძებთ თავისუფალ ადგილს.

აქ მაქსიმალური დაყოვნების ვადაა ცხრა თვე, ზოგი უფრო ნაკლებ დროს ჩერდება, ანუ გვარდება მისი იურიდიულ-სოციალური-ფსიქოლოგიური პრობლემები. აქ მეორე პროფესიის მიღებაც შეუძლიათ და დასაქმების შანსიც არის.

თავშესაფარი არის მათთვის, ვისაც წასასვლელი არსად აქვს. არსად არ არის დაცული.

2006 წელს საკმარისი იყო ეს ათადგილიანი თავშესაფარი. დღეს კი მომატებული მომართვიანობის ფონზე უკვე არის პატარა.

ბოლო პერიოდში მოიმატა მომართვიანობამ. მომართვიანობის ზრდა ისევ და ისევ არის სახელმწიფო პოლიტიკის და სოციალური კამპანიის შედეგი. ადამიანები გახდნენ ინფორმირებული, გაუჩნდათ იმედი და უკვე აღარ არის საკმარისი საქართველოს მასშტაბით თავშესაფრები. ვფიქრობ, მათი რაოდენობა გაიზრდება.

ოზურგეთში გაიხსნება კრიზისული ცენტრი, სადაც, მსხვერპლს გაესაუბრებიან, მოხდება მისი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში გადამისამართება თავშესაფარში. კრიზისულ ცენრებს შეუძლიათ მომსახურება გაუწიონ იმ ადამიანებსაც ვისაც თავშესაფარი არ უნდათ, მაშინ როცა, ჩვენ მხოლოდ ჩვენს ბენეფიციარებს ვემსახურებით. კრიზისული ცენტრები უწევენ მათ იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ სერვისებს."

ბატონი ბექას სიტყვებით ინფორმაცია თავშესაფრის შესახებ ვრცელდება, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ადამიანმა ეს ცოდნა, მაგრამ თავად თავშესაფრის მდებარეობა, კონკრეტული მისამართი ნაკლებადაა ცნობილი თავად ბენეფიციართა მშვიდი ცხოვრებისათვის. საქართველოში თავშესაფრები მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება, არადა კერძო ბიზნესიც რომ გვერდით ედგეს ასეთ საქმეს, ნადვილად საჭიროა. ვისაც დახმარება ესაჭიროება შევახსენებ, ყველაზე მარტივი გზა თავშესაფარში მოსახვედრად არის ზარი უფასო ნომერზე - 116006. გავიწროვებენ? გასაქცევი ვერ გიპოვნიათ? შიშით ცხოვრობთ? დარეკეთ, დაიცავით თავი და შვილები.

ლია კილაძე

რათა სხვებმაც თქვან –„რა ყოფილა გურია"

გურიის რეგიონის სამი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი" და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი – სი ეს აი, ახორციელებენ პროექტს, რომელიც დაფუძნებულია პრინციპზე – „ერთად შევიმუშაოთ გურიაში ტურიზმის განვითარების სტრატეგია – ერთად აღმოვაჩინოთ „რა ყოფილა გურია."

სხვა საკითხებთან ერთად პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მცირე გრანტების კონკურსის გამოცხადება.

გურიაში ტურიზმის განვითარების საკითხზე სრულყოფილი პროექტების მომზადებისა და წარდგენის უზრუნველყოფაში ხელშეწყობას ისახავდა მიზნად ახლახან გამართული ტრენინგ-სემინარი თემაზე „შედეგებზე ორიენტირებული პროექტების მართვა."

სემინარს უძღვებოდნენ სი ეს აი-ს თანამშრომლები ნინო მღვდელაძე და თემურ ჯალიაშვილი.

ტრენინგის მონაწილეები მათთვის საინტერესო მრავალ ინფორმაციას და მეთოდურ მიდგომებს გაეცნენ. კონკრეტულად კი –სისტემატური მიდგომის მნიშვნელობას, პროექტის მართვის კონცეფციასა და მის ელემენტებს, რათა შეძლონ საკუთარი იდეების პროდუქტად გარდაქმნა და შედეგსა და გავლენაზე ორიენტირებული პროექტების შექმნა.

ომარ ბაკურაძე

„მერცხალმა" „მეტასთან" წააგო

ოზურგეთის „მერცხალმა" ერთიანი ჩემპიონატის (რეგიონლიგა, „ბ" ჯგუფი), მე-4 ტურის შეხვედრა სოფელ გონიოში ბათუმის „მეტასთან" გამართა და დამარცხდა 0 : 2.

ამ ტურში „დინამო" 2 ბათუმმა აბაშის „ზანა" 2:1 დაამარცხა, ხოლო ხულოს „ხიხანმა" შინ ფრე 1:1 ითამაშა ზუგდიდის „ოდიში 1919-თან".

4 ტურის შემდეგ ბათუმის „დინამო" 2-ს 7 ქულა აქვს: „ხიხანს", „ოდიში 1919-სა" და „მერცხალს" 5-5 ქულა. („ხიხანს" 3 ტურში აქვს ნათამაშევი).

„მერცხალი" 11 აპრილს საშინაო მატჩში „ოდიში 1919-ს" უმასპინძლებს

სკანვორდი



№ 12-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – კონსტანტინე გამსახურდია; ფეხსაცმლის ზონარი – თასმა; გიორგი შემოკლებით – გია; ტოლსტოის ... კარენინა – ანა; მიწის საიჯარო მფლობელობა – პოსესია; მწერალ ვასილ ბარნაველის ფსევდონიმი – ბარნოვი; ეგრისის სახელდებული ერისთავი – ქუჯი; შარლოტა ბრონტეს „ჯეინ... – ეარი; მამაკაცის სახელი – ყარამანი; კომში – ბია; მონღოლების დაწესებული ბეგარა – ყალანი; ქალაქი რაჭაში – ონი; ყამირი – უშალი; დეკორატიული მცენარე – ზაფრანა; ქვასროლია ბიჭი –სესე; კოლხთა მეფე – აიეტი; გიგანტური მცენარე – ბაობაბი; ალმაცერი – ირიბი; ცისფერი მთები, ანუ ... – ტიანშანი; თხმელა – მურყანი; ძველი ქართული ტომი – ხალიბები; რძის ნაწარმი – დო; პურის მოსავლის ამღები ტრაქტორი – კომბაინი; ქალის სახელი – ბაბი; მოგება ნარდში – ოინი; ძვირფასი ლითონის წონის ერთეული – გრანი; პომპელმუსი – თურინჯი; საერთაშორისო ხელშეკრულების შედგენის წესი –ალტერნატი; რძის ნაწარმი – იოგურტი; საფესტივალო ქალაქი – კანი; დიახ – კი; ცურვის სტილი – ბატერფლაი.

„ადამიანი ვერც ერთი პროფესიით მიიღებს იმხელა სიამოვნებას, როგორსაც მსახიობობით“

თებერვლის წვიმიანი დღე იყო... თითქოს ცა ცრემლებს ღვრიდა, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, უნდა შევხვედროდი მსახიობ მარი ხანთაძეს. თვალწინ მედგა მის მიერ განსახიერებული ნინიკო, სპექტაკლიდან „დარაბებს მიღმა გაზაფხულია", თანაც მაინტერესებდა, რამდენად გულწრფელი რესპოდენტი იყო ჩემი ოცნების ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი.

მარიმ თბილად გამიღიმა და მის გვერდით დამსვა. საუბარი დავიწყეთ თუ არა, უმალ მივხვდი, ეს დიალოგი ორივეს გვსიამოვნებდა.

— მარი, როგორც ეგზიუპერი ამბობს, „ჩვენ, ყველა ბავშვობიდან მოვდივართ“, როგორი ბავშვი იყავით?

— ცელქი ბავშვი ვიყავი, მოუსვენარი. მიყვარდა ბიჭურად ჩაცმა, ვოგონები ცოტა ვიყავით, ბიჭებთან სიამოვნებით ვთამაშობდით ფეხბურთს, ვიკრიბებოდით ჩემს ეზოში და უნდა გენახა, რა დღეში ვიყავით!

— ბავშვობაში ყველა სხვადასხვა პროფესიაზე ოცნებობს, მერე ზოგიერთი იცვლის აზრს. მსახიობობა თქვენი ბავშვობის ოცნების ახდენა იყო?

— ისევე, როგორც თითქმის ყველა გოგონა, ვოცნებობდი ბალერინა გავმხდარიყავი, მაგრამ შევძლებდი? მაშინ რაიონში სპალეტო სკოლა არ იყო, თუ არ ვცდები, ორი-სამი კვირაა, რაც გაიხსნა. ცეკვისადმი ეს მიდრეკილება და სიყვარული შემდეგ ძალიან დამეხმარა, როგორც მსახიობს. სკოლის მასწავლებლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩემი მსახიობური მონაცემები: ხმის ტემბრი, პლასტიკა. ამიტომ ხშირად სასკოლო ღონისძიებებში სხვადასხვა როლს მათამაშებდნენ.

— ყველაზე მეტად ვის სურდა თქვენი მსახიობობა?

— ყველაზე მეტად დედაჩემს უნდოდა, მსახიობი გავმხდარიყავი. ასე მითხრა: შვილო, რაც მე ვერ შევძელი (მსახიობობაზე ოცნებობდა), მინდა, შენ შეძლოო. 13 წლისა მიმიყვანეს ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან არსებულ თეატრალურ სტუდიაში, სადაც მასწავლიდა რეჟისორი შალვა ურუშაძე, იქ დავდიოდი დაახლოებით წელიწადნახევარი.

— და როგორი იყო გზა სტუდენტობიდან თეატრისაკენ...

— თავიდან, 2005 წელს ჩავაბარე თბილისში კინოხელოვნების კოლეჯში, აქ გავდიოდი მოსამზადებელ ეტაპს. სტუდენტები ვაცნობიერებდით, რამდენად ვიყვით მზად, აგვერჩია მსახიობის ურთულესი პროფესია, აქ ერთგვარი სკოლა გავიარე. ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა, მეტყველებას მასწავლიდა მანანა მაჩაბელი ,გამორჩეული, მკაფიო და ხავერდოვანი ხმის მქონე ,კეთილშობილი ქალბატონი. ფსიქოლოგიის გაკვეთილებს გავდიოდი, ამ მეცნიერების ცოდნა წამალივით სჭირდება მსახიობს.

შემდეგ მოძრაობის თეატრში გადავედი, სადაც, უხეშად რომ ვთქვათ, სხეულს ვამუშავებდი, პლასტიკასა და ჟესტიკულაციას ვხვეწდი, მაგრამ გული ისევ სწავლისკენ მიწევდა.

2009 წელს ჩავაბარე მარკეტინგული და მედია-კომუნიკაციების სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიც 2013 წელს დავამთავრე. იქ სახასიათო როლებს მათამაშებდნენ. ვითამაშე „პიგმალიონიდან“ მისის ჰოკინსი, რეჟისორმა გადაწყვიტა, ეს გმირი უფრო მეტად სახასიათო და ქმედითი ყოფილიყო, მოეწონათ ჩემ მიერ განსახიერებული პერსონაჟი. ბევრი ვიმუშავე ამ როლზე, თუმცა უფრო მეტად მინდოდა დრამატული როლების განსახიერება. ამიტომ, შემდეგ „დარაბებს მიღმა გაზაფხულიაში ნინიკოს როლი ჩემად აღვიქვი.

— ვნახე ეს სპექტაკლი, განსაკუთრებით მომეწონა თქვენი ნინიკო, სიყვარულისთვის განწირული, ცხოვრების პირისპირ მარტოდ მყოფი გმირი, მისი უბედურება გულთან ახლოს მივიტანე, ავტირდი, გამიჩნდა სურვილი, კვლავ ვნახოთ სცენაზე. მაინტერესებს, რა ემოცია გამოიწვია თქვენში იმ ფაქტმა, რომ „დარაბებს მიღმა გაზაფხულიას“ მთავარ როლზე დაგამტკიცეს?

— მართალი გითხრა, ვიცოდი, რომ ოზურგეთის თეატრში აპირებდნენ ამ სპექტაკლის დადგმას, თუმცა არ ველოდი, თუ ამ როლის შესრულება მომიწევდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა ვასო ჩიგოგიძემ არჩევანი ჩემზე შეაჩერა, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, თანაც არც კი მჯეროდა, ეს ჩემი პირველი, ყველაზე საპასუხისმგებლო როლი იყო. ასე მგონია, ნინიკოს განსახიერებაში, რაღაც ჩემეული გავიღე, შევეცადე ამ ქალის ხასიათისთვის, ტკივილთან ერთად, პრინციპულობა შემემატებინა, გაბედულებას დაეძლია მარტოსულობის განცდა, რათა მკაცრი რეალობისთვის თვალი გაესწორებინა.

— ხშირად მაყურებლებს მსახიობი პერსონაჟის ან პერსონაჟების სახელით ამასსოვრდებათ, თქვენთვის თუ მოუმართავთ თქვენი პერსონაჟების სახელებით?

— კი, ქუჩაში მივდიოდი და ორი ქალის საუბარს მოვკარი ყური, „შეხედე ეს ნინიკოაო“,- ეუბნებოდა ერთი მეორეს ,გამარჯობა, ნინიკო, როგორ ხარო?“- მკითხეს. დიახ, ნინიკოთი მომმართეს და ეს ძალიან მესიამოვნა.

— როგორც ოზურგეთის პროფესიული სახელმწიფო, დრამატული თეატრის ახალგაზრდა, პერსპექტიული მსახიობი, რომელ როლებს გაიხსენებდით, რომლებიც საყვარელ თეატრთან გაკავშირებთ?

— პირველი როლი განვასახიერე „ანტიგონეში“ - პაჟი, შემდეგი როლი იყო ლევან ხვიჩიას მიერ დადგმულ სპექტაკლში „აურზაური არაფრის გამო“ სწორედ ამ სპექტაკლში დაამატა რეჟისორმა პოლიცმეისტერის როლი, რომელიც მე შევასრულე, ვფიქრობ, ამ როლმა ჩემს დაოსტატებას შეუწყო ხელი, ეს სპექტაკლი წარვადგინეთ ქ. ფოთში გამართულ ფესტივალზე, სადაც ჩვენს ქორეოგრაფს მარიკა ქვეითაიას „საუკეთესო ქორეოგრაფის“ ტიტული მიენიჭა, მართლაც საინტერესოა მარიკასთან მუშაობა. ის თავდაუზოგავად შრომობს, შეუძლია დილიდან საღამომდე გავარჯიშოს, რომ შეჰყურებ, გგონია, არ იღლება. გადამდებია მისი ენერგია, ტემპერამენტი.

საყვარელ სპექტაკლზე „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ უკვე ვისაუბრე, ასევე ძალიან ძვირფასია ჩემთვის „სათამაშო პისტოლეტში“ ჩემი გმირი მეა (მედეა). პრესაში ჩემი მისამართით თბილი სიტყვები დაიწერა, მოეწონათ ჩემი პლასტიკა, ითქვა, რომ საინტერესო შტრიხები შევმატე მეას პერსონაჟს. აპლოდისმენტები არ დაიშურეს ჩემთვის. სპექტაკლის პრემიერამ წამახლისა, მომცა სტიმული იმისა, რომ მომავალშიც ბევრი რამ გავაკეთო ჩემი თეატრის სცენაზე.

სულ ოთხი წელია, ამ თეატრში ვმუშაობ, ეს მსახიობისთვის ძალიან ცოტაა. ჩემთვის ყოველი წუთი ძვირფასია, ყოველი რეპეტიცია, ყველაფერი, რაც თეატრთან მაკავშირებს, ასოცირდება დიდთან, მნიშვნელოვანთან. მსახიობს სცენა ალამაზებს.

— რომელი როლის შესრულებაზე ოცნებობთ?

— ყოველთვის ვოცნებობდი, შემესრულებინა „ანტიგონე“, აღვნიშნე კიდეც, რომ ამ სპექტაკლში ვითამაშე, ოღონდ მხოლოდ პაჟი. იმედია, ოდესმე ავიხდენ ამ ოცნებას.

— ვინ არის თქვენი ფავორიტი რეჟისორი, ვისიც ყველაზე მეტად გწამთ, გჯერათ?

— ჩემი, როგორც თეატრის მსახიობის, ჩამოყალიბებაზე, დიდი გავლენა მოახდინა ჩემი უნივერსიტეტის ლექტორმა თენგო ავალიშვილმა. მისი დამსახურებაა, რომ მე დღეს ასეთი ვარ, უსაზღვროდ მიყვარს თეატრი, მისით ვცოცხლობ, ვსულდგმულობ. სულაც არ არის საჭირო, რეჟისორი კარგად გექცეოდეს, სჯობს საკუთარ ნაკლოვან მხარეებზე მიგითითოს. ბატონმა თენგომ დამანახა ჩემი შეცდომები და შევეცადე მათ გამოსწორებას. თავიდან მიკვირდა, რატომ ვყავდი ამოჩემებული, რატომ არ მოსწონდა არაფერი, ნუთუ ასე ცუდად ვთამაშობ, თუმცა, მერე მივხვდი, რომ ის სწორად მექცეოდა, ყველაფერს ჩემს საკეთილდღეოდ ამბობდა, აკეთებდა. მან მე შემქმნა, როგორც მსახიობი, ამისთვის მისი მადლობელი ვარ.

— რომელ პარტნიორებს გამოარჩევდით? რას გმსჯელებთ მათთან თამაში?

— ისევ „დარაბებს მიღმა გაზაფხულიას“ გავიხსენებ, როგორც ვთქვი, მანამდე წამყვანი როლი არასდროს მქონია. ნინიკოს როლზე მუშობისას ჩემი პარტნიორი ლევან სალიანე (კოკა) უნიჭიერესი მსახიობი, როგორც მეგობარი, მრჩეველი გვერდით მედგა, ის ჩემი საყრდენი იყო, მისი იმედები უნდა გამემართლებინა, თანაც ვხედავდი, როგორ საინტერესოდ ძერწავდა კოკას სახეს, მას ვერ დავალალატებდი, ამიტომ ბედნიერი ვარ მასთან პარტნიორობით.

მეორე საყვარელი პარტნიორი კი მსახიობი ვახტანგ ჩხარტიშვილია, ის არამარტო მთავარ როლს თამაშობდა „სათამაშო ფისტოლეტში“, არამედ მას ეკუთვნოდა ამ სპექტაკლის რეჟისურაც. ვახმ ბევრი იშრომა თითოეულ სცენაზე, ნიუანსზე, ვფიქრობ, რომ დაუფასდა კიდეც, ცდილობდა, წინ წამოვწიე, დამეხმარა მეას სახის დამაჯერებლად წარმოჩენაში. სპექტაკლი უსლოეს წარსულს, აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვით გამოწვეულ იმ გაუსაძლის ტკივილებს ეხება, დღესაც რომ მოსვენებას გვაკარგვინებს. ეს სპექტაკლი ვახო ჩხარტიშვილმა დადგა, როგორც დებიუტანტმა, რეჟისურას ბრწყინვალედ გაართვა თავი, მთავარი როლიც შესრულა და ხალხსაც კიდევ უფრო შეაყვარა თავი.

— რას გრძნობთ, როცა სცენაზე დგახართ, როცა თქვენი თამაშით აღტაცებული მაყურებელი ტაშს გიკრავთ?

— სანამ სცენაზე გამოვდივარ, ნერვიულობისგან ყელიც კი მიშრება და ბევრ წყალს ვსვამ (იცინის), მითუმეტეს, თუ წამყვან როლს ვთამაშობ, პასუხისმგებლობას ვგრძნობ, ამიტომაც ვარ ასეთი აფორიაქებული, ამ წუთებში მარტო ჩემს თავზე კი არ ვფიქრობ, არამედ პარტნიორზეც, სხვა მსახიობებზეც და საერთოდ, ყველა იმ ადამიანზე, რომლებმაც ამ სპექტაკლის წარმატებისთვის ოფლი დაღვარეს, იშრომეს. ყველაზე მეტად მინდა, რეჟისორის იმედები გავამართლო, მინდა მას დავანახო, რომ აღმავალ გზას დავადექი ჩემს სამსახიობო კარიერაში.

ჩემი აზრით, მსახიობი სწორედ იმიტომაა გაჩენილი, რომ პარტერიდან თუ ლოჟებიდან აპლოდისმენტები მიიღოს, ამისთვის ვშრომობთ, ამისთვის ვწვალობთ და არა ხელფასისთვის. მსახიობობა ყველაზე განსხვავებული პროფესიაა, ჭეშმარიტ მსახიობს მთელი არსებით უნდა უყვარდეს სცენა.

— დღეს ახალგაზრდები თავს იკავებენ, აირჩიონ მსახიობის პროფესია. ჩემი აზრით, ალბათ, იმიტომ, რომ მსახიობებს ძალიან მცირე ანაზღაურება აქვთ. რას ურჩევდით მათ?

— ყველა მსახიობს სჭირდება საარსებო წყარო, ამიტომ ვცდილობთ სხვა სამსახურებიც შევითავსოთ. მსახიობისთვის მთავარი მაინც თეატრია, რაც შეეხება ასეთ ბავშვებს, მე მათ ვურჩევ, არ თქვან უარი მსახიობობაზე, რადგან, ჩემი აზრით, ადამიანი ვერც ერთი პროფესიით მიიღებს იმხელა სიამოვნებას, როგორსაც მსახიობობით.

— რომელი მსახიობები გიყვართ და მიგაჩნიათ, რომ, მართლაც, მისაბაძები არიან?

— ძალიან მიყვარს მედეა ჩახავა და ლია ელიავა, უნიჭიერესი და ულამაზესი მსახიობები, ყველა თაობისთვის მისაბაძნი. მათ მთელ ქვეყნიერებას დაანახეს, თუ როგორი ნიჭიერები არიან ქართველი ქალები. უცხოელი მსახიობებიდან მიყვარს ავა გარდნერი, ვფიქრობ, რომ ცოტათი ვგავარ კიდეც, ან, შესაძლოა არც ვგავარ და მე მინდა, რომ ვგავდე (იცინის), ხშირად ვამბობ: „არის ჩემში რაღაც ავა გარდნერისეული“, ეს თითქოს ჩემს საყვარელ ფრაზად იქცა. ავა გარდნერი ჩემთვის მუდამ იქნება სილამაზისა და ქალურობის ეტალონი.

— როგორ ფიქრობთ, თქვენთვის როგორც მსახიობისთვის, იქნება თუ არა ხელისშემშლელი ოჯახის შექმნა?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, ვისთან ერთად აპირებ ოჯახის შექმნას, ჩემი მომავალი მეუღლე თეატრის მხატვარია, ვინაც კარგად იცის, რა არის თეატრი, როგორ სირთულეებს აწყდება ხშირად მსახიობი, რომ პირადულს ზოგჯერ გვერდზე გადადებს, ოგივე თეატრის სასიკეთოდ. ის ყოველთვის მეუბნება, რომ თეატრის გარეშე ვერ წარმოვუდგენივარ, ამიტომ არ მეშინია ოჯახის შექმნის

ესაუბრა **თამუნა კირკიტაძე**

გამოვიყენოთ ყველა რესურსი

საქართველოში აზიური ფაროსანას მასიურმა გავრცელებამ სერიოზული საშიშროება შეუქმნა სასოფლო სამეურნეო კულტურებს. ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილია 50-მილიონი ლარი, მობილიზებულია სათანადო ტექნიკა და შეძენილია ინსექტიციდები, თუმცა მის სრულ ლიკვიდაციას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდება.

საქართველოში აზიური ფაროსანას დაჩქარებული განადგურების მიზნით სხვა ღონისძიებებთან ერთად შესაძლებელია კარგი შედეგი გამოიღოს მოსახლეობის მატერიალური დაინტერესების პრინციპის გამოყენებას, რაც გულისხმობს შემდგეს:

დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან ცალკეული კომპანიების დაფინანსებით სასურველია გაჩნდეს წარწერა „ვიბარებ ფაროსანას მაღალ ფასებში 1კგ 50ლარი„. ეს ღონისძიება იმუშავებს მავნებლის იმაგოს ფაზაში, როდესაც პლანტაციებში მასიურადაა გავრცელებული და განსაკუთრებით სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც ისინი სახლებში ან სხვა ადგილებში გამოსაზამთრებლად გადაადგილდებიან. ამ პერიოდში მოსახლეობა აქტიურად დაკავდება ფაროსანას შეგროვებით და ჩასაბარებელ პუნქტებში მათი რეალიზაციით. ამით მოსახლეობა მიიღებს ერთგვარ ფულად კომპენსაციას და მეორეს მხრივ თითოეული ფაროსანას განადგურებით მნიშვნელოვნად შევამცირებთ მათ პოპულაციას. შეგროვებული ფაროსანას მასა გამოყენებული უნდა იქნეს ბიოლოგიური სასუქების საწარმოებლად. ანალოგიური პრეცენდენტი გამოყენებული იყო გასული საუკუნის 50-60 წლებში, როდესაც ჩაის პლანტაციებში მასიურად გავრცელდა მავნე სარეველა ეკალღიჭი. მაშინდელი მეურნეობები იძულებუ;ლი გახდნენ თითოეული ძირი სარეველას ამოძირკვაში გადაეხადათ 5-კაპიკი. მოსახლეობა მასიურად ჩაება ამ ღონისძიებაში.

ჩვენდა მოულოდნელად იმედის ტელევიზიით (23მარტი) გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე რომ რუსეთის ფედერაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას 1კგ შეგროვება-განადგურებაში მოსახლეობას უნაზღაურებს 1000რუბლი (44ლარი).

დავფიქრდეთ და გავთვალოთ რა შრომის საფასურად შეგვიძლია გადავარჩინოთ ქვეყანა ამ ვერაგი მავნებლისაგან. ამ პროცესში ბრძოლის ყველა მეთოდი და რესურსი უნდა იქნას გამოყენებული.

ზაურ გაბარიჩიძე.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

„ᲐᲚᲐᲠ ᲒᲕᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲒᲣᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲣᲙᲕᲔ“...

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ერთხელ, სტუდენტობისას, ბატონმა ნოდარ ტაბიძემ, დიდი გალაკტიონის ძმისშვილმა ხუმრობით სათაურის დიდოსტატი მიწოდა, მე კი მათ, ვინაც 30 მარტს, ოზურგეთის თეატრის დროებით „ნავსაყუდელში“, სოფელ გურიანთის კულტურის სახლში, მომცრო სცენაზე, „მებადურისა და ოქროს თევზის“ სახით პრემიერა წარმოგვიდგინა, მთელი სერიოზულობით, სცენის დიდოსტატები უნდა ვუწოდო. აი, ისინიც:

— **ვასო ჩიგოგიძე,** დამდგმელი რეჟისორი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;

— **ლალი თაბაგარი,** საკუთარი ხელწერითა და ხედვით გამორჩეული რეჟისორი, რომელიც ამავე დროს არის ალექსანდრე პუშკინისა და ძმები გრიმების ხსენებული ზღაპრის სცენური ვერსიის ავტორი;

— **ლომგულ მურუსიძე** მხატვარი, კ. მარჯანიშვილისა და პ. ოცხელის პრემიების ლაურეატი, რომელიც, ჩემი აზრით, ამ სპექტაკლის მხატვრობისთვისაც არანაკლებ ჯილდოს იმსახურებს;

— **მარიკა ქვეითაია,** ქორეოგრაფი, თეატრალური ქორეოგრაფიის შეუდარებელი კლასიკოსი, რომელმაც ამ სპექტაკლში ოთხივე მოცეკვავე და მასხარა კლასიკური ბალეტის დონეზე აცეკვა;

— გოგა მახარაძე, მუსიკალური გამფორმებელი, ვის მიერაც სპექტაკლისთვის შერჩეული მუსიკა საოცარი სიზუსტით ჯდება მაყურებლის გემოვნებაში;

— **მაკა მამულაიშვილი,** რეჟისორის ასისტენტი ჩვენი თეატრის რეჟისორების საიმედო მარჯვენა ხელი;

— **ზვიად ჯორბენაძე**, მსახიობი, ვინაც, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, შექმნა კეთილშობილი მებადურის სახე;

— **თამარ მდინარაძე,** მსახიობი, რომელმაც მებადურის მეუღლეობიდან ხმელეთთა, ცათა თუ ზღვათა დედოფლობამდე მანძილი ისე ბობოქრად განვლო, რომ საათნახევარში მთელი გალაქტიკა თავზე ჩამოგვაქცია;

— **ვახტანგ ჩხარტიშვილი,** მსახიობი, რომლის მასხარა, საოცრად მოქნილი, გამჭრიახი და შორსმხედველი გამოდგა;

— **გიორგი დოლიძე,** მსახიობი, რომლის მსახურთუხუცესისათვის დამახასიათებელი დახვეწილ მანერას და ჟესტიკულაციას სპექტაკლის მიმდინარეობისას ოვაციით ხვდებოდა მაყურებელი;

— **კობა ახალაძე,** ახალგაზრდა მსახიობი, რომელმაც კარგად გაართვა თავი მსახურის, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივ, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ პასუხსაგებ როლს;

შორენა გვეტაძე, მსახიობი — ქორო, მოახლე, პირველი მოცეკვავე, რომელმაც იცის სცენაზე პირველობის გემო და ფასი;

თეა კეჭაყმაძე, მსახიობი — ქორო, მოახლე, მგოსანი, რომელიც ცეკვის დროს იმდენად როკვადი იყო, რომ მასხარა ფეხებს შორის გაუძვრა;

მარი ხანთაძე, მსახიობი — ქორო, მოცეკვავე, ოქროს თევზი, რომლის პლასტიკა ყველასგან განსხვავებულია;

ანი გოდერძიშვილი, მსახიობი — ქორო, მოცეკვავე, პირველი მოახლე, რომლის მიერ განსახიერებული ნებისმიერი როლის კიდევ ერთხელ ნახვის სურვილი გიჩნდება.

და იცით, რა არის ბედნიერება? რომ ეს ყველაფერი ცხადი იყო და არა ზღაპარი ანდა სიზმარი.

სიტყვები კი, რომელიც სათაურში გამოვიტანე, ვის უნდა ეკუთვნოდეს, თუ არა ბატონ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს. ბატონმა ვასომ პრემიერის შემდეგ დარბაზში მყოფ მაყურებელთან საუბარი სწორედ ამ ოთხი სიტყვით დაიწყო.

ბრავო ოზურგეთის თეატრს ასეთი, შედევრს მიახლოებული პრემიერისათვის! მრჩება შთაბეჭდილება, რომ გურულების პროფესიული თეატრი ანტიკვარული ოქროს ეტლით მიჰქრის თავისი საუკუნენახევრიანი იუბილისაკენ, ბრავო ამისთვისაც!

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲞᲐᲡᲥᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 11 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲨᲘ, ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 14 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ, „ᲥᲣᲠᲣᲛᲘ“ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔᲡ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



მარტის ბოლო დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ ჟურნალისტებს რამდენიმე სიახლე გააცნო ქართული თეატრის დღევანდელობიდან.

როგორც ჩიგოგიძემ აღნიშნა, თეატრალურ საზოგადოების ახლახან ჩატარებულ ყრილობაზე ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ბატონი გიორგი გეგეჭკორი, უსაყვარლესი ქართველი მსახიობის გოგი გეგეჭკორისა და უძლიერესი ქართველი თეატრმცოდნის ნათელა ურუშაძის ვაჟი, პროფესიით მხატვარი. შეიცვალა ორგანიზაციის წესდება. მნიშვნელოვანი ცვლილებებია სტრუქტურაში. გადაწყდა, რომ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას ჰქონდეს ოთხი განყოფილება. როგორც ცნობილია, აჭარა და იმერეთი თავისთავად იყვნენ დიდი განყოფილებები, მესამე, გურიის განყოფილება განყოფილება წლების წინათ დაარსდა და ახლა მის ბაზაზე შეიქმნა გურია-სამეგრელოს განყოფილება, რომელსაც ვასო ჩიგოგიძე უხელმძღვანელებს, მეოთხე კი იქნება კახეთისა და ქართლის განყოფილება.

ამ ყრილობის შემდეგ 27 მარტს პირველად ჩატარდა საერთაშორისო თეატრის დღე. ჩიგოგიძის თქმით, თეატრალურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ეს დღე ყოფილიყო გაბრიელ მდინარაძის დღე და ფაქტობრივად ოზურგეთის თეატრის ირგვლივ ტრიალებდა ყველაფერი. თეატრი 150 წლის გახდა და საიუბილეო დღეები დაიწყო სწორედ გაბრიელ მდინარაძის 90 წლის იუბილით. კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ერთადერთ სახალხო არტისტს გურია-სამეგრელოს არეალში გადასცა ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“. არ დაახანა თეატრალურმა საზოგადოებამაც, რომელმაც დააწესა უზარმაზარი ქართველი არტისტის უშანგი ჩხეიძის ჯილდო. მისი პირველი მფლობელი გახდა ბატონი გაბრიელ მდინარაძე, ანალოგიური ჯილდო გადაეცა მანუჩარ შერვაშიძეს, მაგრამ ბატონმა თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ ჯილდო №1 ერგო გაბრიელ მდინარაძეს.

— ეს ჯილდო ალბათ ათი წლის შემდეგ განმეორდება. ბატონმა გაბრიელმა მინისტრთან საუბარში გამოთქვა სურვილი, ამ ჯილდოს კიდევ მიღებისა. ეს ჯილდო ალბათ 10 წლის შემდეგ გაიცემა, უშანგი ჩხეიძის მორიგ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. იმ დროისთვის ბატონი გაბრიელი 100 წლის იქნება და ისე მხნედ გამოიყურება, უსათუოდ შეძლებს ამ სურვილის ასრულებას, — თქვა ვასილ ჩიგოგიძემ

აქვე მან ერთგვარი ანოტაცია გაუკეთა თეატრალური საზოგადოების ჟურნალის ახალ ნომერს. აღნიშნულ ჟურნალს 10 ცალის რაოდენობით წელიწადში ოთხჯერ მიიღებს ოზურგეთის თეატრი. ჟურნალი ხელმისაწვდომი იქნება როგორც მსახიობებისათვის, ისე ჟურნალისტებისათვის.

უშანგი ჩხაიძის ჯილდოების გადაცემა მოხდა დარბაზში, პირველი ნაწილი, როგორც ჩიგოგიძემ აღნიშნა, გაბრიელ მდინარაძის დაჯილდოებას და ჟურნალის პრეზენტაციას, დაეთმო, ხოლო მეორე ნაწილი — სომხური, ადამიანცის სახელობის თეატრის მიერ სპექტაკლ „საბრალდებო დასკვნის“ დადგმას ქართულ ენაზე. ეს სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე წარმოადგინა აღნიშნულმა თეატრმა. ამჯერად კი სპექტაკლში შედიოდნენ ვარსკვლავები, რომელთაც ქართულად ჰქონდათ ნათამაშები „საბრალდებო დასკვნის“ პერსონაჟები. სპექტაკლის წინ, როდესაც მაყურებელს ამცნეს გაბრიელ მდინარაძის დაჯილდოების შესახებ, შეუძლებელი იყო სიხარულის ცრემლების შეკავება, მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა 90 წლის მსახიობს.

— სპექტაკლის მომზადება მე დამევალა და ბატონ გაბრიელთან და დანარჩენებთან ერთად რამდენიმე დღით მომიწია მუშაობა. ტიგრანა ერთობლივად რამდენიმე მსახიობმა შეასრულა. როლში ბატონი გაბრიელის შესვლიდან, მთელი დარბაზი პირდაღებული დარჩა 9 ათეული წლის მსახიობის თამაშით, გამართული მეტყველებით, აბსოლუტურად ზუსტი წერტილებით. უნდა გენახათ, როგორი აღტაცებით უყურებდნენ თვითონ სომხები, — თქვა ჩიგოგიძემ.

იქმნება თეატრის ჰიმნი, უკვე მზად არის ტექსტი, რომლის ავტორი გახლავთ მაია ღლონტი.

თეატრალური საზოგადოების გურია-აჭარის განყოფილების თვამჯდომარემ ვრცლად ისაუბრა, ნოდარ დუმბაძის სახელობის მეორე საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება.

ჩიგოგიძე ამბობს, რომ იქნება წითელი ხალიჩაც და პოდიუმიც:

— იქნება წითელი ხალიჩაც და პოდიუმიც და ეს პოდიუმი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება ნაკლები სხვა ცნობილ წარმომადგენლობით პოდიუმებზე. ეს შეიძლება არის ამბიციური პროექტი, მაგრამ სულაც ვერ ვხედავ ამბიციას რაღაც გადაჭარბებული დოზით, — დასძინა ჩიგოგიძემ

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 14 თეატრი, აქედან 6 უცხოეთის ქვეყნებისა, მათ შორის იქნება მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თეატრი, ნიკიტსკების კარის თეატრი; პერმის თეატრი რუსეთიდან; გაბროვოს თეატრი ბულგარეთიდან, პანევეჟისის თეატრი ლიტვიდან, განჯის თეატრი აზერნაიჯანიდან და უზბეკეთი თეატრი.

ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნება 5 ივლისს ჩოხატაურის ხელოვნებისა და კულტურის სახლში

7 ᲓᲦᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	6 აპრილი-	7 აპრილი	8 აპრილი
				პარასკევი		
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი		შაბათი	კვირა
მზე ღრუბელი +6+22	წვიმა +2+9	წვიმა +1+10	მზე +6+15	მზე +9+21	მზე ღრუბელი +8+17	მზე +10+17